

**საბჭოს 2009 წლის 25 მაისის  
დირექტივა 2009/50/EC**

**მაღალკვალიფიციური სამუშაოს მიზნებისათვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების  
ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის პირობების შესახებ**

ევროკავშირის საბჭო,

ითვალისწინებს რა, ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, მისი 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-4 პუნქტს,

ითვალისწინებს რა, ევროკომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას,

ითვალისწინებს რა, ევროპარლამენტის მოსაზრებას [\(1\)](#),

ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან კონსულტაციის გავლის შემდეგ [\(2\)](#),

რეგიონების კომიტეტთან კონსულტაციის გავლის შემდეგ [\(3\)](#),

ვინაიდან:

(1) თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლიანი სივრცის თანმიმდევრული შექმნის მიზნით, ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულება ითვალისწინებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის თავშესაფრის, იმიგრაციისა და უფლებების დაცვის სფეროებთან დაკავშირებული ზომების მიღებას.

(2) ხელშეკრულების თანახმად, საბჭომ უნდა მიიღოს ზომები საიმიგრაციო პოლიტიკის შესახებ, რომლებიც ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის პირობებსა და წევრი სახელმწიფოების მიერ გრძელვადიანი ვიზებისა და ბინადრობის ნებართვების გაცემისათვის საჭირო პროცედურების სტანდარტებს ეხება და იმ უფლებებსა და პირობებს განსაზღვრავს, რომელთა მიხედვითაც ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერად მცხოვრებ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს სხვა წევრ სახელმწიფოებში ცხოვრება შეუძლიათ.

(3) 2000 წლის მარტში, ლისაბონში გამართულ შეხვედრაზე, ევროპულმა საბჭომ განსაზღვრა ევროგაერთიანების მიზანი, რომ გაერთიანების ეკონომიკა ცოდნაზე დაფუძნებული, მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარის, 2010 წლისთვის უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილისა და უფრო დიდი სოციალური ერთობის მქონე და მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე კონკურენტული და დინამიკური გამხდარიყო. წევრი სახელმწიფოების მიდგომა მათ საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდეს და მესამე ქვეყნიდან მაღალკვალიფიციური მუშაკების

მოზიდვასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებულ ზომებს უნდა მოიცავდეს. აღნიშნული ზომები უნდა განიხილებოდეს უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც ლისაბონის სტრატეგიითა და ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის ერთიანი მითითებების შესახებ კომისიის 2007 წლის 11 დეკემბრის კომუნიკაციით განისაზღვრა.

(4) 2004 წლის 4 და 5 ნოემბერს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულმა ჰააგის პროგრამაში აღიარებულია, რომ ლეგალური მიგრაცია ევროპაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის გაძლიერებაში, ეკონომიკური განვითარების წინსვლასა და, ამგვარად, ლისაბონის სტრატეგიის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. ევროპის საბჭომ კომისიას მოუწოდა, შეიმუშავოს ლეგალური მიგრაციის პოლიტიკის გეგმა, რომელიც ქვეყანაში დაშვების პროცედურებს მოიცავს და შრომის ბაზარზე შრომითი მიგრანტების ცვალებად მოთხოვნებზე დაუყოვნებლივი რეაგირების უნარი ექნება.

(5) 2006 წლის 14 და 15 დეკემბერს ევროპის საბჭო შეთანხმდა 2007 წლისათვის განსახორციელებელ მთელ რიგ ნაბიჯებზე, მათ შორის, ისეთ საკითხებზე, როგორცაა კარგად მართული ლეგალური საიმიგრაციო პოლიტიკის განვითარება, რომელიც წევრ სახელმწიფოებს არსებული და სამომავლო შრომითი მოთხოვნების დაკმაყოფილებაში დაეხმარება. ეს ეროვნული კომპეტენციის სრული პატივისცემით უნდა მოხდეს.

(6) ლისაბონის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ფარგლებში იმ მაღალკვალიფიციური მუშაკების მობილობის ხელშეწყობა, რომლებიც ევროკავშირის მოქალაქეები არიან, განსაკუთრებით, იმ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებისა, რომლებიც ევროკავშირის 2004 და 2007 წლებში შეუერთდნენ. წინამდებარე დირექტივის განხორციელებისას, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ევროპის გაერთიანების უპირატესობის პრინციპი, როგორც ეს 2003 და 2005 წლების შეერთების აქტების შესაბამის დებულებებშია გადმოცემული.

(7) მესამე ქვეყნის მოქალაქეების ქვეყანაში დაშვებისა და მობილობის ხელშეწყობის გზით, წინამდებარე დირექტივა ხელს შეუწყობს აღნიშნული მიზნების მიღწევასა და სამუშაო ძალის ნაკლებობასთან დაკავშირებული საკითხის გადაჭრას. ეს გულისხმობს მაღალკვალიფიციური სამუშაოს მიზნებისათვის 3 თვეზე მეტი ხნით დარჩენის უფლებას, რათა ევროგაერთიანება ასეთი მუშაკებისათვის მსოფლიოს ყველა კუთხიდან უფრო მიმზიდველი გახდეს და მის კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკურ ზრდას შეეწყოს ხელი. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია მაღალკვალიფიციური მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ქვეყანაში დაშვების დაჩქარებული პროცედურების შექმნა და რიგ სფეროებში მათთვის მიმღები წევრი სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებების თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მინიჭება. აგრეთვე საჭიროა გარკვეული პრიორიტეტების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და წევრ სახელმწიფოთა მიერ მიღების შესაძლებლობების გათვალისწინება. წინამდებარე დირექტივა წევრი სახელმწიფოების მიერ დასაქმების ნებისმიერი მიზნისათვის ახალი ეროვნული ბინადრობის ნებართვების შენარჩუნების ან შემოღების უფლებამოსილებას არ უნდა ზღუდავდეს. მესამე ქვეყნის აღნიშნულ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ევროკავშირის ლურჯი ბარათი ან ეროვნული ბინადრობის ნებართვა მოითხოვონ. ამასთან, წინამდებარე დირექტივამ გავლენა

არ უნდა იქონიოს ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის მიერ სხვა დამატებითი უფლებებითა და პრივილეგიებით სარგებლობის შესაძლებლობაზე, რაც შეიძლება ეროვნული კანონმდებლობით იყოს გათვალისწინებული და წინამდებარე დირექტივას შეესაბამებოდეს.

(8) წინამდებარე დირექტივა ზიანს არ უნდა აყენებდეს წევრი სახელმწიფოების უფლებებს, განსაზღვრონ მაღალკვალიფიციური სამუშაოთი დასაქმების მიზნით მათი ქვეყნის ტერიტორიაზე შემომსვლელ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების მოცულობა. აქ იგულისხმებიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენა ანაზღაურებადი ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად სურთ და ისეთები, რომლებიც წევრ სახელმწიფოში კანონიერად, სხვა სქემის თანახმად ცხოვრობენ, მაგ. სტუდენტები (რომლებსაც ახალი დასრულებული აქვთ სწავლა) ან მკვლევარები, რომლებიც დაშვებულ იქნენ ქვეყანაში *სწავლის, მოსწავლეთა გაცვლის, აუნაზღაურებადი პროფესიული მომზადების ან მოხალისეთა სამსახურის მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ქვეყანაში დაშვების პირობების შესახებ* საბჭოს 2004 წლის 13 დეკემბრის 2004/114/EC დირექტივისა [\(4\)](#) და სამეცნიერო კვლევის მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების ქვეყანაში დაშვების სპეციალური პროცედურის შესახებ საბჭოს 2005 წლის 12 ოქტომბრის 2005/71/EC დირექტივის [\(5\)](#) თანახმად და ისინი, ვისაც ევროგაერთიანების ან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოს შრომის ბაზარზე კონსოლიდირებული წვდომა არ აქვს. გარდა ამისა, ქვეყანაში დაშვების მოცულობებთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ შესაძლებლობას, ზოგადად სამუშაოსთვის ან განსაზღვრული პროფესიებისთვის, გარკვეული ეკონომიკური სექტორების ან რეგიონებისთვის ბინადრობის ნებართვა არ გასცენ.

(9) წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, იმისათვის, რომ შეფასდეს, გააჩნია თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქეს უმაღლესი განათლების დიპლომი, მითითება შეიძლება გაკეთდეს განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED)-1997 5ა და 6 საფეხურებზე.

(10) წინამდებარე დირექტივამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში შესვლის მოქნილი, მოთხოვნაზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც დამყარებული იქნება პროფესიულ კვალიფიკაციასა და ობიექტურ კრიტერიუმებზე, მაგ. როგორცაა წევრ სახელმწიფოებში არსებული ხელფასის დონის შესაბამისი მინიმალური სახელფასო ზღვარი. სახელფასო ზღვრისთვის საერთო მინიმალური მნიშვნელის განსაზღვრა ევროგაერთიანების მასშტაბით დაშვების პირობების ჰარმონიზაციის მინიმალური დონის უზრუნველსაყოფად არის საჭირო. ვინაიდან სახელფასო ზღვარი მინიმალურ დონეს განსაზღვრავს, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, დაადგინონ უფრო მაღალი მინიმალური სახელფასო ზღვარი. წევრმა სახელმწიფოებმა მინიმალური ზღვარი საკუთარი შრომის ბაზრის მდგომარეობისა და სტრუქტურის და საერთო საიმეგრაციო პოლიტიკის მიხედვით უნდა განსაზღვრონ. მინიმალურ სახელფასო ზღვართან მიმართებით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ძირითადი სქემიდან გამონაკლისის დაშვება კონკრეტული პროფესიებისთვის, იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული წევრი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ სამუშაო ძალის

განსაკუთრებული ნაკლებობა აქვს და როცა ასეთი პროფესიები დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკაციის 1-ელი და 2-ე ძირითადი ჯგუფების ნაწილს წარმოადგენს.

(11) წინამდებარე დირექტივის მიზანი მხოლოდ ევროკავშირის ლურჯი ბარათის სისტემის ფარგლებში მაღალკვალიფიციური სამუშაოს მიზნებისათვის მესამე ქვეყნის მოქალაქეთა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისა და ბინადრობის პირობების, მათ შორის, მინიმალურ სახელფასო ზღვართან შესაბამისობის კრიტერიუმების დადგენაა. აღნიშნული სახელფასო ზღვრის ერთადერთი მიზანი კომისიის (ევროსტატი) ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური დაკვირვების გათვალისწინებით თითოეული წევრი სახელმწიფოს მიერ საერთო წესების საფუძველზე ჩამოყალიბებული ევროკავშირის ლურჯი ბარათის გამოყენების სფეროს განსაზღვრაა. დირექტივის მიზანი არ არის ხელფასების განსაზღვრა და, შესაბამისად, იგი არ არღვევს წევრი სახელმწიფოს დონეზე არსებულ წესებსა და პრაქტიკას ან კოლექტიური ხელშეკრულების პირობებს. ამიტომ, მისი რაიმე სახით გამოყენება აღნიშნულ სფეროში ჰარმონიზაციის შექმნისათვის ვერ მოხდება. წინამდებარე დირექტივა სრულად სცემს პატივს წევრი სახელმწიფოების კომპეტენციას, განსაკუთრებით, დასაქმების, შრომისა და სოციალურ საკითხებთან მიმართებით.

(12) თუ წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს, თავის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის ისეთი მოქალაქე დაუშვას, რომელიც შესაბამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, მაშინ მესამე ქვეყნის ამ მოქალაქემ, რომელსაც ევროკავშირის ლურჯ ბარათზე აქვს მოთხოვნა გაკეთებული, წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული სპეციალური ბინადრობის ნებართვა უნდა მიიღოს, რაც მასა და მის ოჯახის წევრებს შრომის ბაზარზე თანდათანობითი ხელმისაწვდომობის, ცხოვრებისა და თავისუფლად გადაადგილების უფლებებს ანიჭებს. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მოთხოვნასთან დაკავშირებული განცხადების განხილვის ზღვრული ვადა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარებისათვის ან, საჭიროების შემთხვევაში, ვიზის გაცემისათვის საჭირო დროს არ უნდა მოიცავდეს. წინამდებარე დირექტივა დიპლომების აღიარებასთან დაკავშირებულ ეროვნულ პროცედურებს ზიანს არ აყენებს. ამ დირექტივის თანახმად, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების დანიშვნა არ არღვევს განცხადებების განხილვასა და მათზე გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით სხვა ეროვნული ორგანოებისა და, საჭიროების შემთხვევებში, სოციალური პარტნიორების როლსა და პასუხისმგებლობას.

(13) ევროკავშირის ლურჯი ბარათის ფორმატი მესამე ქვეყნის მოქალაქეებისათვის ბინადრობის ნებართვის ერთიანი ფორმატის დადგენის შესახებ საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის (EC) #1030/2002 რეგულაციას [\(ტ\)](#) უნდა შეესაბამებოდეს და, ამგვარად, წევრ სახელმწიფოებს აძლევდეს საშუალებას, მითითება გააკეთონ ინფორმაციაზე, განსაკუთრებით იმ პირობების შესახებ, რომელთა თანახმადაც კონკრეტულ პიროვნებას მუშაობის ნებართვა მიეცა.

(14) მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მოქმედ სამგზავრო დოკუმენტებსა და წევრი სახელმწიფოს (რომელიც სრულად იყენებს შენგენის კანონმდებლობას) მიერ გაცემულ ევროკავშირის ლურჯ ბარათს ფლობენ, უნდა მიეცეთ სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე (რომელიც სრულად იყენებს შენგენის კანონმდებლობას) შესვლისა და თავისუფლად გადაადგილების ნებართვა 3 თვემდე ვადით, საზღვრებზე პირების

გადაადგილების წესებთან დაკავშირებით ევროგაერთიანების კოდექსის შექმნის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 15 მარტის (EC) #562/2006 რეგულაციის (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) [\(1\)](#) თანახმად და საერთო საზღვრებზე კონტროლის თანდათანობით გაუქმების შესახებ ბენელუქსის ქვეყნების ეკონომიკური კავშირის სახელმწიფოთა, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის მიღებული 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენციის 21-ე მუხლის შესაბამისად.

(15) მესამე ქვეყნის მაღალკვალიფიცირებულ მუშაკთა პროფესიული და გეოგრაფიული მობილობა აღიარებული უნდა იყოს, როგორც შრომის ბაზრის ეფექტურობის გაზრდის ძირითადი მექანიზმი, კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობის აღმოფხვრისა და რეგიონალური დისბალანსის გამოსწორების საშუალება. ევროგაერთიანების უპირატესობის პრინციპის დაცვის მიზნით, ისევე, როგორც სისტემის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, მესამე ქვეყნის მაღალკვალიფიცირებული მუშაკის პროფესიული მობილობა წევრ სახელმწიფოში ლეგალურად მუშაობის პირველი ორი წლის განმავლობაში შეზღუდული უნდა იყოს.

(16) წინამდებარე დირექტივა სრულად სცემს პატივს მსგავს მდგომარეობაში ყოფნისას წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებსა და ევროკავშირის ლურჯი ბარათის მქონე პირებს შორის თანაბარი მოპყრობის/უფლებების პრინციპს ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

(17) ევროკავშირის ლურჯი ბარათის მქონე პირების მიმართ თანაბარი მოპყრობა არ ითვალისწინებს პროფესიულ სწავლებას, რომელიც სოციალური დახმარების პროგრამებით იფარება.

(18) სოციალურ უზრუნველყოფასთან მიმართებით, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მქონე პირებმა თანაბარი მოპყრობის უფლებით უნდა ისარგებლონ. სოციალური უზრუნველყოფის სფეროები ევროგაერთიანების ტერიტორიაზე გადაადგილებისას დაქირავებული პირების, თვითდასაქმებული პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ სოციალური უზრუნველყოფის სქემების გამოყენების თაობაზე საბჭოს 1971 წლის 14 ივნისის (EEC) #1408/71 რეგულაციაშია [\(2\)](#) განსაზღვრული. საბჭოს 2003 წლის 14 მაისის #859/2003 რეგულაცია საბჭოს (EEC) #1408/71 და (EEC) #574/72 რეგულაციების დებულებების მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეთა მიმართ გავრცელებაზე, რომლებზეც ეს დებულებები, მხოლოდ მათი მოქალაქეობიდან გამომდინარე, ჯერ არ ვრცელდება [\(3\)](#), (EEC) #1408/71 რეგულაციის დებულებებს განავრცობს მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც ევროგაერთიანების ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრობენ. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში თანაბარუფლებიანობის შესახებ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული პირობები ასევე ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უშუალოდ მესამე ქვეყნიდან შედიან, იმ პირობით, თუ კონკრეტული პირი კანონიერად ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე, როგორც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი, დროებითი უმუშევრობის დროს ცხოვრების პერიოდის ჩათვლით და, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, სოციალური უზრუნველყოფის შემწეობაზე უფლების მოპოვებისთვის შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს.



მიუხედავად ამისა, წინამდებარე დირექტივა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს იმაზე მეტ უფლებებს არ უნდა ანიჭებდეს, ვიდრე უკვე გათვალისწინებულია ევროგაერთიანების მოქმედი კანონმდებლობით სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეების მიმართ, რომელთაც სტატუსი ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში აქვთ. გარდა ამისა, წინამდებარე დირექტივა არ უნდა ანიჭებდეს უფლებებს იმ სიტუაციებთან მიმართებით, რაც ევროგაერთიანების კანონმდებლობის ფარგლებს სცდება, მაგ., როგორცაა მესამე ქვეყანაში მცხოვრები ოჯახის წევრების შემთხვევა.

(19) მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ სხვა წევრ სახელმწიფოში შეძენილი პროფესიული კვალიფიკაციები აღიარებული უნდა იყოს ზუსტად ისე, როგორც ეს ევროკავშირის მოქალაქეების შემთხვევაში ხდება. მესამე ქვეყანაში მიღებული კვალიფიკაცია 2005 წლის 7 სექტემბრის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ 2005/36/EC დირექტივის შესაბამისად <sup>(10)</sup> უნდა იყოს გათვალისწინებული.

(20) მესამე ქვეყნის მაღალკვალიფიციური მუშაკის ქვეყანაში კანონიერად ყოფნის პირველ პერიოდში, ევროგაერთიანების ფარგლებში გეოგრაფიული მობილობა უნდა კონტროლდებოდეს და მოთხოვნაზე დაფუძნებული უნდა იყოს. გრძელვადიანი ბინადრობის სტატუსის მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებით საბჭოს 2003 წლის 25 ნოემბრის 2003/109/EC დირექტივიდან <sup>(11)</sup> გადახვევა გათვალისწინებული უნდა იყოს იმისათვის, რომ მესამე ქვეყნის გეოგრაფიულად მობილური, მაღალკვალიფიციური მუშაკები, რომელთაც ამ დირექტივაში აღნიშნული გრძელვადიანი ბინადრობის სტატუსი ჯერ არ აქვთ, არახელსაყრელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მოხდეს გეოგრაფიული და ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობა.

(21) ევროგაერთიანების ქვეყნებსა და მათი წარმომობის ქვეყნებს შორის მაღალკვალიფიციურ მესამე ქვეყნის მუშაკთა მობილობას ხელი უნდა შეეწყოს. საბჭოს 2003/109/EC დირექტივიდან გადახვევა ევროგაერთიანების ტერიტორიაზე არყოფნის პერიოდის გახანგრძლივების მიზნით უნდა მოხდეს კანონიერი და უწყვეტი ბინადრობის ვადის შეწყვეტის გარეშე, რომელიც გრძელვადიანი ბინადრობის უფლების მოსაპოვებლად არის საჭირო. აგრეთვე, მას შემდეგ, რაც მაღალკვალიფიციური მესამე ქვეყნის მუშაკები ევროგაერთიანების გრძელვადიანი ბინადრობის უფლებას მიიღებენ, მათი ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობის მიზნით, ნებადართული უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი პერიოდით არყოფნა, ვიდრე ეს 2003/109/EC დირექტივით არის გათვალისწინებული.

(22) წინამდებარე დირექტივის განხორციელებისას, განვითარებადი ქვეყნების იმ სექტორებში, სადაც პერსონალის ნაკლებობაა, წევრმა სახელმწიფოებმა კადრების აქტიური შერჩევისგან თავი უნდა შეიკავონ. საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლებთან მიმართებით უნდა მოხდეს ეთიკური საკადრო პოლიტიკისა და პრინციპების შემუშავება ძირითად სფეროებში, მაგ. ჯანდაცვის სფეროში, როგორც ეს განვითარებად ქვეყნებში სამედიცინო პერსონალის მწვავე დეფიციტის დაძლევისთან დაკავშირებით ევროპის მოქმედების პროგრამის შესახებ საბჭოსა და წევრი სახელმწიფოების 2007 წლის 14 მაისის დასკვნებშია (2007-2013 წლები) ხაზგასმული და, საჭიროების შემთხვევაში, განათლების სფეროში. აღნიშნული პოლიტიკისა და პრინციპების გაძლიერება უნდა მოხდეს დროებითი

მიგრაციის საჭიროებისამებრ ხელშეწყობისთვის შესაბამისი მექანიზმების, მითითებებისა და სხვა ინსტრუმენტების შემუშავებითა და გამოყენებით და სხვა ზომების მიღებით, რაც, „ინტელექტის გადინების“ „ინტელექტის შემოდინებად“ გარდაქმნის მიზნით, განვითარებად ქვეყნებზე მაღალკვალიფიციურ პირთა იმიგრაციის უარყოფით გავლენას შეამცირებს და დადებით გავლენას გაზრდის.

(23) მესამე ქვეყნის მაღალკვალიფიციური მუშაკების მოზიდვის მიზნით, ოჯახის გაერთიანებისა და მეუღლეების სამუშაოზე ხელმისაწვდომობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა წინამდებარე დირექტივის ძირითადი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ <sup>(12)</sup> საბჭოს 2003 წლის 22 სექტემბრის 2003/86/EC დირექტივიდან გარკვეული სახის გადახვევები უნდა მოხდეს. წინამდებარე დირექტივის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული გადახვევა წევრ სახელმწიფოებს ინტეგრაციისათვის საჭირო პირობებისა და ზომების, მათ შორის, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის ოჯახის წევრებისათვის ენის სწავლების შენარჩუნებასა თუ შემოღებაში ხელს არ უშლის.

(24) წინამდებარე დირექტივის განხორციელების მონიტორინგისათვის, განვითარებად ქვეყნებში „ინტელექტის გადინებასთან“ მიმართებით მისი შედეგების განსაზღვრისა და შესაძლო განეიტრალებისათვის და „ინტელექტის უსარგებლოდ ხარჯვის“ თავიდან აცილების მიზნით, ანგარიშგების კონკრეტული დებულებები უნდა მომზადდეს. წევრმა სახელმწიფოებმა შესაბამისი ინფორმაცია კომისიას წელიწადში ერთხელ, მიგრაციასა და საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებით ევროგაერთიანების სტატისტიკის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2007 წლის 11 ივლისის (EC) #862/2007 რეგულაციის თანახმად <sup>(13)</sup> უნდა მიაწოდონ.

(25) ვინაიდან წინამდებარე დირექტივის მიზნების მიღწევა, სახელდობრ, ქვეყანაში დაშვების სპეციალური პროცედურის შემოღება და მაღალკვალიფიციური სამუშაოს მიზნებისათვის მესამე ქვეყნის მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრებისათვის წევრ სახელმწიფოებში შესვლისა და 3 თვეზე მეტი ვადით ბინადრობისთვის შესაბამისი პირობების დამტკიცება, წევრი სახელმწიფოების მიერ სრულად ვერ ხერხდება, განსაკუთრებით, წევრ სახელმწიფოებს შორის მათი მობილობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და, აქედან გამომდინარე, მათი უკეთესად მიღწევა ევროგაერთიანების დონეზეა შესაძლებელი, ევროგაერთიანებას ხელშეკრულების მე-5 მუხლში მოცემული სუბსიდიარობის პრინციპის შესაბამისი ზომების მიღება შეუძლია. აღნიშნულ მუხლში მითითებული პროპორციულობის პრინციპის თანახმად, წინამდებარე დირექტივა ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ფარგლებს არ სცდება.

(26) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ძირითად უფლებებს და განსაკუთრებით იცავს ევროკავშირის შეთანხმების მე-6 მუხლითა და ევროკავშირის ფუნდამენტალურ უფლებათა ქარტიით აღიარებულ პრინციპებს.

(27) საკანონმდებლო საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ ევროპარლამენტის, საბჭოსა და კომისიის ინტერინსტიტუციური შეთანხმების 34-ე პუნქტის თანახმად <sup>(14)</sup>, წევრ

სახელმწიფოებს შეუძლიათ, საკუთარი და ევროგაერთიანების ინტერესებიდან გამომდინარე, შეადგინონ და საჯარო გახადონ ცხრილები, რომლებშიც დირექტივასა და მისი ტრანსპოზიციის ზომებს შორის არსებული კორელაცია შეძლებისდაგვარად ნათლად იქნება ნაჩვენები.

(28) გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას და აღნიშნული ოქმის მე-4 მუხლისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ეს წევრი სახელმწიფოები წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობენ და არ არიან პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე.

(29) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების თანახმად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებას, დანია წინამდებარე დირექტივის მიღებაში არ მონაწილეობს და არ არის პასუხისმგებელი მის აღსრულებაზე.

იღებს შემდეგ დირექტივას:

**თავი I**  
**ზოგადი დებულებები**  
*მუხლი 1*  
**საგანი**

წინამდებარე დირექტივის მიზანია, განსაზღვროს:

(ა) მაღალკვალიფიციური სამუშაოს განხორციელების მიზნით, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლისა და 3 თვეზე მეტი ვადით ცხოვრების პირობები;

(ბ) „ა“ პუნქტში აღნიშნული მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრთათვის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, პირველი წევრი სახელმწიფოს გარდა, შესვლისა და ბინადრობისთვის საჭირო პირობები.

*მუხლი 2*  
**განმარტებები**

წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის:

(ა) „მესამე ქვეყნის მოქალაქე“ ნიშნავს ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც, ხელშეკრულების მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტის განსაზღვრებით, ევროკავშირის მოქალაქე არ არის;

(ბ) „მაღალკვალიფიციური სამუშაო“ ნიშნავს იმ პირის სამუშაოს, რომელიც:



- შესაბამის წევრ სახელმწიფოში, სამართლებრივი ურთიერთობისგან დამოუკიდებლად, დაცულია, როგორც თანამშრომელი შრომითი ეროვნული კანონმდებლობის და/ან ეროვნული პრაქტიკის შესაბამისად, სხვა პირის დავალებით ან ხელმძღვანელობით რეალური და ეფექტური სამუშაოს განხორციელების მიზნით,
- იღებს სამუშაო ანაზღაურებას, და
- აქვს უმაღლესი პროფესიონალური კვალიფიკაციით დადასტურებული, შესაბამისი და კონკრეტული კომპეტენცია;

(გ) „ევროკავშირის ლურჯი ბარათი“ ნიშნავს ნებართვას დასახელებით „ევროკავშირის ლურჯი ბარათი“, რომელიც, წინამდებარე დირექტივის პირობების შესაბამისად, მის მფლობელს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრებისა და მუშაობის უფლებას ანიჭებს;

(დ) „პირველი წევრი სახელმწიფო“ გულისხმობს იმ წევრ სახელმწიფოს, რომელიც პირველად ანიჭებს მესამე ქვეყნის მოქალაქეს „ევროკავშირის ლურჯ ბარათს“;

(ე) „მეორე წევრი სახელმწიფო“ გულისხმობს პირველი წევრი სახელმწიფოს გარდა ნებისმიერ სხვა წევრ სახელმწიფოს;

(ვ) „ოჯახის წევრები“ გულისხმობს მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, როგორც ეს 2003/86/EC დირექტივის მე-4 მუხლის 1-ელ პუნქტშია განსაზღვრული;

(ზ) „მაღალი პროფესიული კვალიფიკაცია“ ნიშნავს კვალიფიკაციას, რომელიც დამოწმებულია უმაღლესი განათლების დიპლომით ან, გამონაკლისის სახით, როცა ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, დადასტურებულია სულ მცირე 5-წლიანი პროფესიული გამოცდილებით, რომელიც უმაღლესი განათლების დიპლომის დონეს ედრება და რომელიც შრომით ხელშეკრულებაში ან სამუშაოს მავალდებულებელ წინადადებაში მითითებული პროფესიისა თუ სფეროს შესაბამისია;

(თ) „უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია“ გულისხმობს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემულ ნებისმიერ დიპლომს, სერტიფიკატს ან განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელიც უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამის, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ უმაღლეს სასწავლებლად აღიარებული სასწავლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული მთელი რიგი კურსების წარმატებით დასრულებას ადასტურებს. წინამდებარე დირექტივის მიზნებისათვის, უმაღლესი განათლების დიპლომი მხედველობაში იქნება მიღებული იმ შემთხვევაში, თუ ამ დიპლომის მისაღებად საჭირო სწავლა, სულ მცირე, 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

(ი) „პროფესიული გამოცდილება“ გულისხმობს ფაქტიურ და კანონიერ სამუშაოს პროფესიის შესაბამისად;

(კ) „რეგულირებადი პროფესია“ გულისხმობს რეგულირებად პროფესიას, როგორც ეს 2005/36/EC დირექტივის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტშია განსაზღვრული.

*მუხლი 3*  
**მოქმედების სფერო**

1. წინამდებარე დირექტივა ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც, ამ დირექტივის პირობების შესაბამისად, წევრ სახელმწიფოს მის ტერიტორიაზე შესვლის/დაშვების თხოვნით, მაღალკვალიფიციური სამუშაოს განხორციელების მიზნით მიმართავენ.

2. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება მესამე ქვეყნების შემდეგ მოქალაქეებზე:

(ა) რომლებსაც წევრ სახელმწიფოში დროებითი დაცვის საფუძველზე ცხოვრების უფლება აქვთ ან სახელმწიფოს ამგვარი უფლებით ცხოვრების ნებართვისთვის მიმართეს და მათი სტატუსის შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებას ელოდებიან;

(ბ) რომლებიც მესამე ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის ლტოლვილის ან საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭების მინიმალური სტანდარტებისა და დაცვის არსის შესახებ საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/83/EC დირექტივის თანახმად <sup>(15)</sup>, საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარები არიან, ან რომლებმაც, აღნიშნული დირექტივის თანახმად, წევრ სახელმწიფოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით მიმართეს და მათ განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა;

(გ) რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო ვალდებულებების ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოს პრაქტიკის შესაბამისად დაცვის ბენეფიციარები არიან ან რომლებმაც ამგვარი დაცვით სარგებლობაზე თხოვნით ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო ვალდებულებების ან შესაბამისი წევრი სახელმწიფოს პრაქტიკის თანახმად მიმართეს და რომელთა განცხადებაზეც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული;

(დ) რომლებმაც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების მიზნით, 2005/71/EC დირექტივის მნიშვნელობის ფარგლებში სამეცნიერო მკვლევრის სტატუსით ცხოვრების უფლების მოთხოვნით შეიტანეს განცხადება;

(ე) რომლებიც კავშირის მოქალაქეების ოჯახის წევრები არიან და, კავშირის მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრების წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისა და ცხოვრების უფლების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/38/EC დირექტივის შესაბამისად <sup>(16)</sup> ევროგაერთიანების ფარგლებში თავისუფლად გადაადგილების უფლებით სარგებლობდნენ ან სარგებლობენ;

(ვ) რომლებიც 2003/109/EC დირექტივის თანახმად წევრ სახელმწიფოში ევროგაერთიანების გრძელვადიანი რეზიდენტის სტატუსი აქვთ და, დაქირავებულ მუშაკად ან თვითდასაქმებულ მდგომარეობაში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სხვა წევრ სახელმწიფოში ცხოვრების უფლებით სარგებლობენ;

(ზ) რომლებიც წევრ სახელმწიფოში შედიან საერთაშორისო შეთანხმებაში გათვალისწინებული ვალდებულებების თანახმად, რომელიც კომერციული და

საინვესტიციო საქმიანობისათვის გარკვეული კატეგორიის ფიზიკური პირების ქვეყანაში შესვლასა და დროებით დარჩენას უწყობს ხელს.

(თ) რომლებიც წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაუშვეს, როგორც სეზონური მუშაკები;

(ი) რომელთა გაძევება ფაქტობრივი ან სამართლებრივი გარემოებების გამო შეჩერდა;

(კ) რომლებზეც ვრცელდება ევროპარლამენტისა და საბჭოს 1996 წლის 16 დეკემბრის 96/71/EC დირექტივა მომსახურების გაწევის ფარგლებში მუშაკების მივლინებით გაშვების შესახებ<sup>(17)</sup>, სანამ ისინი შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მივლინებით იმყოფებიან.

გარდა ამისა, წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება მესამე ქვეყნის იმ მოქალაქეებისა და მათი ოჯახის წევრებზე, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, რომლებიც ევროგაერთიანებას, მის წევრ სახელმწიფოებსა და ამ მესამე ქვეყნებს შორის არსებული შეთანხმებების საფუძველზე კავშირის მოქალაქეთა თანაბარი, თავისუფლად გადაადგილების უფლებით სარგებლობენ.

3. წინამდებარე დირექტივა ზიანს არ აყენებს ევროგაერთიანებასა და/ან მის წევრ სახელმწიფოებსა და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის დადებულ არცერთ შეთანხმებას, რომელშიც წარმოდგენილია იმ პროფესიების ჩამონათვალი, რომლებიც ამ დირექტივის მოქმედების ქვეშ არ უნდა მოექცეს, იმ მიზნით, რომ მოხდეს პერსონალის ეთიკური შევსება იმ სექტორებში, სადაც კადრების ნაკლებობაა და დაცული იყოს ასეთ შეთანხმებებზე ხელმოწერილი განვითარებადი ქვეყნების ადამიანური რესურსები.

4. წინამდებარე დირექტივა ზიანს არ აყენებს წევრი სახელმწიფოების უფლებას, ბინადრობის ნებართვები, ევროკავშირის ლურჯი ბარათისგან განსხვავებით, ნებისმიერი სხვა სამუშაო მიზნით გასცენ. ასეთი ბინადრობის ნებართვები არ ანიჭებს სხვა წევრ სახელმწიფოებში ცხოვრების უფლებას, როგორც ეს ამ დირექტივაშია გათვალისწინებული.

#### *მუხლი 4*

### **უფრო ხელსაყრელი დებულებები**

1. წინამდებარე დირექტივა ზიანს არ აყენებს შემდეგი დოკუმენტების უფრო ხელსაყრელ პირობებს:

(ა) ევროგაერთიანების კანონმდებლობა, მათ შორის გაერთიანებას ან გაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები;

(ბ) ერთ ან მეტ წევრ სახელმწიფოსა და ერთ ან მეტ მესამე ქვეყანას შორის დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები.

2. წინამდებარე დირექტივა გავლენას არ მოახდენს წევრი სახელმწიფოების უფლებაზე, მიიღოს ან ძალაში დატოვოს უფრო ხელსაყრელი დებულებები იმ პირებისათვის, რომლებზეც ის ვრცელდება, ამ დირექტივის შემდეგ პირობებთან დაკავშირებით:

(ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მე-18 მუხლის გამოყენებისას;

(ბ) მე-11 მუხლი, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის მეორე წინადადება, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-13, მე-14, მე-15 მუხლები და მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი.

## თავი II

### ქვეყანაში დაშვების პირობები

#### მუხლი 5

### ქვეყანაში დაშვების კრიტერიუმები

1. მე-10 მუხლის 1-ელი პუნქტის დარღვევის გარეშე, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მიღებაზე განაცხადს წარადგენს, წინამდებარე დირექტივის პირობების თანახმად:

(ა) წარადგენს შესაბამის წევრ სახელმწიფოში მოქმედ შრომით ხელშეკრულებას, ან, როგორც ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, მაღალკვალიფიციური სამუშაოს მავალდებულებელ წინადადებას, არანაკლებ 1 წლის ვადით;

(ბ) წარადგენს დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ პირობების შესრულებას, რომელთა მიხედვითაც კავშირის მოქალაქეები შრომით ხელშეკრულებაში ან სამუშაოს მავალდებულებელ წინადადებაში მითითებული რეგულირებადი პროფესიით საქმიანობენ;

(გ) არარეგულირებად პროფესიებთან დაკავშირებით, წარადგენს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს შრომით ხელშეკრულებაში ან სამუშაოს მავალდებულებელ წინადადებაში მითითებული საქმიანობის ან სფეროს/დარგის შესაბამის მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას, როგორც ეს ეროვნული კანონმდებლობითაა გათვალისწინებული;

(დ) წარადგენს მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს, როგორც ეს ეროვნული კანონით არის დადგენილი, განცხადებას ვიზაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, ვიზას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მოქმედი ბინადრობის ნებართვის ან ეროვნული გრძელვადიანი ვიზის დამადასტურებელ საბუთს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადა, სულ მცირე, ბინადრობის ნებართვის თავდაპირველი მოქმედების ვადას მოიცავდეს;

(ე) წარადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის დამადასტურებელ საბუთს ან, თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, მტკიცებულებას იმისა, რომ მას გაკეთებული აქვს განცხადება ამგვარი დაზღვევის გასაფორმებლად ყველა იმ რისკებთან მიმართებით, რომელსაც თავისი მოქალაქეებისათვის, ჩვეულებრივ, შესაბამისი წევრი

სახელმწიფო ფარავს, იმ ვადებით, რომლის დროსაც ის არ იქნება უზრუნველყოფილი არანაირი ასეთი სახის დაზღვევითა და შემწეობის უფლებით მის შრომით კონტრაქტთან დაკავშირებით ან მისგან გამომდინარე.

(3) საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს.

2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განმცხადებლისგან შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი მისამართის წარმოდგენა მოითხოვონ.

3. 1-ელ პუნქტში ჩამოყალიბებული პირობების გარდა, მთლიანი წლიური ხელფასი, შრომით ხელშეკრულებაში ან სამუშაოს მავალდებულებელ წინადადებაში მითითებული ყოველთვიური ან წლიური ხელფასიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს იმ მინიმალურ სახელფასო ზღვარზე დაბალი, რომელსაც ამ მიზნით წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ და აქვეყნებენ და რომელიც შესაბამის წევრ სახელმწიფოში საშუალო წლიურ ხელფასს, სულ მცირე, 1,5-ჯერ უნდა აღემატებოდეს.

4. მე-3 პუნქტის განხორციელებისას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მოითხოვონ ყველა იმ პირობის შესრულება, რომელიც მაღალკვალიფიციური სამუშაოსთვის სამართლებრივი ნორმებით, კოლექტიური ხელშეკრულებებით ან შესაბამის პროფესიულ სფეროებში არსებული პრაქტიკითაა გათვალისწინებული.

5. მე-3 პუნქტიდან გადახვევის სახით, იმ პროფესიების შესაბამისი სამუშაოსთვის, სადაც მესამე ქვეყნის მოქალაქე მუშაკების განსაკუთრებული საჭიროებაა და რომლებიც დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის 1-ელ და მე-2 ძირითად ჯგუფებს განეკუთვნება, შესაბამის წევრ სახელმწიფოში მინიმალური სახელფასო ზღვარი საშუალო მთლიან წლიურ ხელფასს შეიძლება, სულ მცირე, 1,2-ჯერ აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში, შესაბამისი წევრი სახელმწიფო ყოველ წელს უგზავნის კომისიას იმ პროფესიების ჩამონათვალს, რომელთა მიმართებითაც აღნიშნული გამონაკლისის დაშვება გადაწყდა.

6. ეს მუხლი არ არღვევს მაღალკვალიფიციურ სამუშაოსთან დაკავშირებით არსებულ კოლექტიურ ხელშეკრულებებსა და შესაბამის პროფესიულ სფეროებში არსებულ პრაქტიკას.

#### *მუხლი 6*

### **ქვეყანაში დაშვების მოცულობები**

წინამდებარე დირექტივა გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოს უფლებაზე, დაადგინოს მაღალკვალიფიციური სამუშაოს მიზნებისათვის მის ტერიტორიაზე შემომსვლელ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების მოცულობა.

#### **თავი III**

### **ევროკავშირის ლურჯი ბარათი, პროცედურა და გამჭვირვალობა**

#### *მუხლი 7*



## ევროკავშირის ლურჯი ბარათი

1. ევროკავშირის ლურჯი ბარათი გაიცემა მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებმაც აღნიშნულის მოთხოვნით განცხადება წარადგინეს და მე-5 მუხლში ჩამოყალიბებულ პირობებს აკმაყოფილებენ და რომელთა მიმართაც კომპეტენტურმა ორგანოებმა დადებითი გადაწყვეტილება მე-8 მუხლის შესაბამისად მიიღეს.

წევრმა სახელმწიფომ მესამე ქვეყნის მოქალაქეს ვიზის მისაღებად საჭირო ყველა პირობა უნდა შეუქმნას.

2. წევრი სახელმწიფოები ადგენენ ევროკავშირის ლურჯი ბარათის მოქმედების სტანდარტულ ვადას, 1 წლიდან 4 წლამდე ვადით. თუ შრომითი ხელშეკრულება ამ ვადაზე ნაკლებ პერიოდს ფარავს, ევროკავშირის ლურჯი ბარათი შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადითა და დამატებით კიდევ 3 თვის ხანგრძლივობით გაიცემა ან გახანგრძლივდება.

3. ევროკავშირის ლურჯი ბარათი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, საბჭოს #1030/2002 რეგულაციაში დადგენილი ერთიანი ფორმატის გამოყენებით გაიცემა. აღნიშნული რეგულაციის დანართის „ა“ ნაწილის 7.5-9 პუნქტების თანახმად, წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის ლურჯ ბარათში მიუთითებენ შრომის ბაზარზე დაშვების პირობებს, როგორც ეს წინამდებარე დირექტივის მე-12 მუხლის 1-ელ პუნქტშია აღნიშნული. ბინადრობის ნებართვაში, „ნებართვის სახე“ სათაურის ქვეშ, წევრი სახელმწიფოები წერენ: „ევროკავშირის ლურჯი ბარათი“.

4. ლურჯი ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში, მისი მფლობელი უფლებამოსილია:

(ა) შევიდეს, განმეორებით შევიდეს და დარჩეს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც ლურჯი ბარათი გასცა;

(ბ) ისარგებლოს წინამდებარე დირექტივით აღიარებული უფლებებით.

### მუხლი 8

#### დაშვებაზე უარის თქმის საფუძვლები

1. წევრი სახელმწიფოები განმცხადებელს ევროკავშირის ლურჯ ბარათის მოთხოვნით შეტანილ განცხადებაზე უარს ეუბნებიან იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი მე-5 მუხლში ჩამოყალიბებულ პირობებს არ აკმაყოფილებს ან თუ წარდგენილი დოკუმენტები თაღლითური გზით მოპოვებული ან გაყალბებულია.

2. ლურჯი ბარათის გაცემასთან დაკავშირებით განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე და მე-12 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების თანახმად მისი გახანგრძლივების ან ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვამდე, ლურჯი ბარათის მფლობელის მიერ პირველი ორი წლის განმავლობაში კანონიერი სამუშაოს განხორციელებისას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, მათი ქვეყნის შრომის ბაზარზე არსებული სიტუაცია

შეისწავლონ და ვაკანტური ადგილის შესავსებად საჭირო მოთხოვნებთან დაკავშირებით თავიანთი ეროვნული პროცედურები გამოიყენონ.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, გადაამოწმონ, შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ვაკანტური ადგილის დაკომპლექტება ეროვნული ან ევროგაერთიანების მუშახელით, მესამე ქვეყნის მოქალაქეებით, რომლებიც კანონიერად ცხოვრობენ შესაბამის წევრ სახელმწიფოში და, ევროგაერთიანების ან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მისი შრომითი ბაზრის ნაწილი არიან, ან გრძელვადიანი ბინადრობის მქონე იმ პირებით, რომელთაც ამ წევრ სახელმწიფოში გადასვლა მაღალკვალიფიციური სამუშაოთი დასაქმების მიზნით, 2003/109/EC დირექტივის III თავის შესაბამისად სურთ.

3. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მიღების მოთხოვნით წარდგენილი განცხადება შეიძლება ასევე დაუშვებლად ჩაითვალოს მე-6 მუხლის საფუძველზე.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მიღების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე უარი თქვან იმ მიზნით, რომ მოხდეს კადრების ეთიკური შევსება წარმომავლის ქვეყნების იმ სფეროებში, რომლებშიც კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობაა.

5. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მიღების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებაზე უარი თქვან, თუ დამქირავებლის მიმართ არადეკლარირებული სამუშაოსთვის და/ან მუშახელის არაკანონიერად გამოყენებისთვის ეროვნული კანონის შესაბამისი სადამსჯელო ზომებია მიღებული.

### *მუხლი 9*

#### **ევროკავშირის ლურჯი ბარათის ჩამორთმევა ან მის გახანგრძლივებაზე უარი**

1. წევრი სახელმწიფოების მიერ წინამდებარე დირექტივის საფუძველზე გაცემული ლურჯი ბარათის ჩამორთმევა ან უარი მის გახანგრძლივებაზე ხდება შემდეგ შემთხვევებში:

(ა) როცა ის მოპოვებულია თაღლითური გზით ან გაყალბებულია;

(ბ) როცა აღმოჩნდება, რომ მისი მფლობელი არ აკმაყოფილებდა ან აღარ აკმაყოფილებს ქვეყანაში შესვლასა და ბინადრობასთან დაკავშირებით წინამდებარე დირექტივაში ჩამოყალიბებულ პირობებს ან ცხოვრობს სხვა მიზნით, და არა იმისთვის, რისთვისაც ბინადრობის უფლება მიეცა;

(გ) როდესაც ბარათის მფლობელმა მე-12 მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებსა და მე-13 მუხლში აღნიშნული შეზღუდვები არ დაიცვა.

2. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტისა და მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ინფორმაციის არარსებობა ლურჯი ბარათის ჩამორთმევის ან მისი არ გაგრძელების საკმარის მიზეზად არ ითვლება, თუ მის მფლობელს შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეს ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებამდე მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არ მივიდა.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ამ დირექტივის საფუძველზე გაცემული ლურჯი ბარათი ჩამოართვან ან მის გახანგრძლივებაზე უარი თქვან შემდეგ შემთხვევებში:

(ა) საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით;

(ბ) როდესაც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს არ გააჩნია საკმარისი სახსრები საკუთარი თავისა და, საჭიროების შემთხვევაში, ოჯახის წევრების რჩენისათვის, წევრი სახელმწიფოს სოციალური დახმარების სისტემისათვის მიმართვის გარეშე. წევრი სახელმწიფოები ამ სახსრებს მათი ხასიათისა და რეგულარობის თვალსაზრისით აფასებენ და შეუძლიათ, სახელმწიფო ხელფასებისა და პენსიის მინიმალური დონე და, აგრეთვე, მისი ოჯახის წევრთა რაოდენობა გაითვალისწინონ. ასეთი შეფასება არ კეთდება მე-13 მუხლში აღნიშნული უმუშევრობის პერიოდის განმავლობაში.

(გ) თუ ამ პიროვნებამ არ აცნობა თავისი მისამართი;

(დ) როცა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი სოციალურ სისტემას დახმარებისთვის მიმართავს, იმ შემთხვევაში, როცა წევრმა სახელმწიფომ მას შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია წინასწარ გადასცა.

### *მუხლი 10*

#### **განცხადებები ქვეყანაში დაშვებაზე**

1. წევრი სახელმწიფოები იღებენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ლურჯი ბარათის მიღებაზე მოთხოვნის განაცხადი მესამე ქვეყნის მოქალაქემ უნდა წარადგინოს თუ მისმა დამქირავებელმა.

2. განცხადების მიღება და განხილვა ხდება ორივე შემთხვევაში, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქე ცხოვრობს იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სადაც მას სურს შესვლა და როცა ის უკვე ცხოვრობს ამ წევრ სახელმწიფოში, როგორც მოქმედი ბინადრობის ნებართვის ან ეროვნული გრძელვადიანი ვიზის მფლობელი.

3. მე-2 პუნქტიდან გადახვევის სახით, წევრ სახელმწიფოს, თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, შეუძლია, მიიღოს განცხადება იმ შემთხვევაში, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქეს არ აქვს მოქმედი ბინადრობის ნებართვა, მაგრამ კანონიერად იმყოფება მის ტერიტორიაზე.

4. მე-2 პუნქტიდან გადახვევის სახით, წევრ სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს, რომ განცხადების შემოტანა მხოლოდ მისი ტერიტორიის ფარგლებს გარედან იყოს შესაძლებელი, იმ შემთხვევაში თუ ამგვარი შეზღუდვები - ყველა მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ ან

მესამე ქვეყნის მოქალაქეების გარკვეული კატეგორიების მიმართ - წინამდებარე დირექტივის მიღების მომენტისათვის მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობაში უკვე გათვალისწინებულია.

### *მუხლი 11*

#### **პროცედურული გარანტიები**

1. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მოთხოვნით წარდგენილ სრულ განაცხადზე გადაწყვეტილებას წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოები იღებენ და შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობაში ჩამოყალიბებული შეტყობინების პროცედურების შესაბამისად, განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობით, რაც შეიძლება, სწრაფად და განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 90 დღის განმავლობაში აცნობებენ.

ზემოაღნიშნულ აბზაცში მითითებულ ვადაში არმიღებული გადაწყვეტილების შედეგებს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრავს.

2. თუ განცხადებასთან ერთად მტკიცებულების სახით წარდგენილი ინფორმაცია ან დოკუმენტები არასაკმარისია, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოები განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენის საჭიროების შესახებ აცნობებენ და მათ წარსადგენად გონივრულ ვადას დაუწესებენ. 1-ელ პუნქტში აღნიშნული ვადა შეჩერდება, სანამ ეს ორგანოები არ მიიღებენ დამატებით საჭირო ინფორმაციასა თუ დოკუმენტებს. თუ დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტები გარკვეულ ვადაში არ იქნა წარდგენილი, განცხადება შეიძლება არ დაკმაყოფილდეს.

3. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მოთხოვნასთან დაკავშირებულ განცხადებაზე უარის, მისი არ გაგრძელების ან ჩამორთმევის შესახებ მიღებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება შესაბამის მესამე ქვეყნის მოქალაქეს და, საჭიროების შემთხვევაში, მის დამსაქმებელს, შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული შეტყობინების პროცედურების შესაბამისად, წერილობით ეცნობება. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლები, შესაძლო გასაჩივრების არსებული პროცედურები და შესაბამისი ქმედების განსახორციელებლად საჭირო ვადა.

### **თავი IV**

#### **უფლებები**

### *მუხლი 12*

#### **შრომის ბაზარზე დაშვება**

1. წევრ სახელმწიფოში ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის კანონიერად მუშაობის პირველი ორი წლის განმავლობაში, მისი შრომის ბაზარზე დაშვება შემოიფარგლება ისეთი ანაზღაურებადი სამუშაოს განხორციელებით, რომელიც მე-5 მუხლში ჩამოყალიბებულ ქვეყანაში დაშვების პირობებს აკმაყოფილებს. ამ ორი წლის გასვლის შემდეგ, წევრ

სახელმწიფოებს შეუძლიათ, მაღალკვალიფიციურ სამუშაოზე წვდომასთან მიმართებით, შესაბამის პირებს მათი ქვეყნის მოქალაქეების თანაბარი უფლებები მიანიჭონ.

2. წევრ სახელმწიფოში ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის მიერ კანონიერი სამუშაოს განხორციელების პირველი ორი წლის განმავლობაში, დამსაქმებლის შეცვლა ეროვნული პროცედურების შესაბამისად და მე-11 მუხლის 1-ელ პუნქტში მითითებული ვადის ფარგლებში, შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემულ წინასწარ წერილობით ნებართვას საჭიროებს. ის ცვლილებები, რომლებიც ქვეყანაში დაშვების პირობებზე ახდენს გავლენას, წინასწარ შეტყობინებას ან წინასწარ ნებართვას მოითხოვს, თუ ეს ეროვნული კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

პირველი ორი წლის გასვლის შემდეგ, თუ შესაბამისი წევრი სახელმწიფო თანაბარ მოპყრობასთან დაკავშირებით 1-ელი პუნქტით გათვალისწინებულ შესაძლებლობას არ იყენებს, დაინტერესებულმა პირმა, ეროვნული პროცედურების შესაბამისად, ამ წევრი სახელმწიფოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს იმ ცვლილებების შესახებ უნდა შეატყობინოს, რომლებიც მე-5 მუხლის პირობებზე გავლენას ახდენს.

3. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სამუშაოზე წვდომასთან დაკავშირებით შეზღუდვები შეინარჩუნონ, თუ ასეთი სამუშაო სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში პერიოდულ მონაწილეობასა და სახელმწიფოს საერთო ინტერესების დასაცავად პასუხისმგებლობას ითვალისწინებს და როდესაც, მოქმედი ეროვნული ან ევროგაერთიანების კანონმდებლობის თანახმად, ასეთი სამუშაო საკუთარი მოქალაქეებისათვის არის განკუთვნილი.

4. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სამუშაოზე წვდომასთან დაკავშირებით შეზღუდვები შეინარჩუნონ იმ შემთხვევებში, როცა ასეთი სამუშაო საკუთარი მოქალაქეებისთვის, ევროკავშირის მოქალაქეებისთვის ან ევროპის ეკონომიკური სივრცის მოქალაქეებისთვის არის განკუთვნილი.

5. ეს მუხლი გამოიყენება ევროგაერთიანების უპირატესობის პრინციპის დარღვევის გარეშე, რომელიც გადმოცემულია 2003 და 2005 წლების მიერთების აქტების შესაბამის დებულებებში, განსაკუთრებით, შესაბამისი წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა შრომის ბაზარზე დაშვების უფლებებთან მიმართებით.

### *მუხლი 13*

#### **დროებითი უმუშევრობა**

1. უმუშევრობა, როგორც ასეთი, ევროკავშირის ლურჯი ბარათის ჩამორთმევის საფუძველს არ წარმოადგენს, თუ უმუშევრობის პერიოდი მიყოლებით 3 თვეზე მეტხანს არ გრძელდება, ან ლურჯი ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში ერთ ჯერზე მეტად არ ჰქონია ადგილი.

2. 1-ელ პუნქტში მითითებული ვადის განმავლობაში, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს უფლება აქვს, მე-12 მუხლში ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად, მოძებნოს და დაიწყოს სამსახური.



3. წვერი სახელმწიფოები ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელებს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად საჭირო ნებართვის გაცემამდე ან მასზე უარის გაცხადებამდე მათ ტერიტორიაზე დარჩენის უფლებას აძლევენ. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინებით უმუშევრობის პერიოდი ავტომატურად სრულდება.

4. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი შესაბამისი წვერი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს უმუშევრობის პერიოდის დაწყების შესახებ შესაბამისი ეროვნული პროცედურების მიხედვით აცნობებს.

#### *მუხლი 14*

#### **თანაბარუფლებიანობა**

1. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელები ლურჯი ბარათის გამცემი წვერი სახელმწიფოს მოქალაქეების მსგავსი თანაბარი უფლებებით შემდეგ საკითხებთან მიმართებით სარგებლობენ:

(ა) სამუშაო პირობები, ანაზღაურებისა და სამსახურიდან გათავისუფლებისა და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩათვლით;

(ბ) მშრომელთა ან დამსაქმებელთა ორგანიზაციაში ან სხვა ნებისმიერ პროფესიულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და გაწევრიანების თავისუფლება, ასეთი ორგანიზაციების მიერ მინიჭებული უპირატოსებების ჩათვლით, რაც ზიანს არ აყენებს საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს;

(გ) განათლება და პროფესიული მომზადება;

(დ) დიპლომის, სერტიფიკატის და სხვა პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება, შესაბამისი ეროვნული პროცედურების თანახმად;

(ე) სოციალური უზრუნველყოფის სფეროებთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის დებულებები, როგორც ეს (EEC) #1408/71 რეგულაციაშია განსაზღვრული. შესაბამისად, გამოიყენება (EC) #859/2003 რეგულაციის დანართში ჩამოყალიბებული სპეციალური პირობები;

(ვ) არსებული ორმხრივი შეთანხმებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, მესამე ქვეყანაში გადასვლის შემთხვევაში, ხელფასიდან გამომდინარე დაგროვილი ხანდაზმული ასაკის კანონიერი პენსიის გადახდა იმ განაკვეთით, რომელსაც მოვალე სახელმწიფო(ები)ს კანონი ითვალისწინებს;

(ზ) ყველასათვის ხელმისაწვდომ საქონელზე და მომსახურებაზე წვდომა და მათი უზრუნველყოფა, საცხოვრებლის მისაღებად საჭირო პროცედურების ჩათვლით, აგრეთვე, დასაქმების სამსახურების მიერ უზრუნველყოფილი საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებები;

(თ) თავისუფალი დაშვება შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მთლიან ტერიტორიაზე, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში.

2. 1-ელი პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებთან მიმართებით, შესაბამის წევრ სახელმწიფოს შეუძლია, სასწავლო სტიპენდიებსა და კრედიტებთან დაკავშირებით ან საშუალო და უმაღლესი განათლებისა და პროფესიული მომზადების სხვა სახის სტიპენდიებთან თუ სესხებთან და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით თანაბარუფლებიანობა შეზღუდოს.

რაც შეეხება 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს:

(ა) უნივერსიტეტსა და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია კონკრეტულ წინაპირობებზე, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად;

(ბ) შესაბამის წევრ სახელმწიფოს შეუძლია, შეზღუდოს თანაბარუფლებიანობა იმ შემთხვევებში, როცა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის ან მისი ოჯახის წევრების, რომელთათვისაც ის ამგვარი პრივილეგიით სარგებლობას ითხოვს, რეგისტრირებული ან ჩვეულებრივი საცხოვრებელი ადგილი მის ტერიტორიაზე მდებარეობს.

1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი არ ზღუდავს ხელშეკრულების თავისუფლებას, ევროგაერთიანებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

3. 1-ელ პუნქტში გათვალისწინებული თანაბარი მოპყრობის უფლება ზიანს არ აყენებს წევრი სახელმწიფოს უფლებას, მე-9 მუხლის შესაბამისად, ჩამოართვას ევროკავშირის ლურჯი ბარათი ან უარი თქვას მის გაგრძელებაზე.

4. როდესაც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი მეორე წევრ სახელმწიფოში მე-18 მუხლის შესაბამისად გადადის და ლურჯი ბარათის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიღებული არ არის, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თანაბარუფლებიანობა 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ სფეროებთან დაკავშირებით, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტების გამოკლებით შეზღუდონ. თუ ამ პერიოდის განმავლობაში, წევრი სახელმწიფოები განმცხადებელს მუშაობის ნებართვას მისცემენ, მაშინ მას მეორე წევრი სახელმწიფოს მოქალაქეების თანაბარი უფლება 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილ ყველა პუნქტთან მიმართებით ეძლევა.

#### *მუხლი 15*

#### **ოჯახის წევრები**

1. ამ მუხლში გათვალისწინებულ გარკვეულ გადახვევებთან მიმართებით მოქმედებს 2003/86/EC დირექტივა.

2. 2003/86/EC დირექტივის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტიდან და მე-8 მუხლიდან გადახვევის სახით, ოჯახის გაერთიანება არ იქნება დამოკიდებული იმ მოთხოვნაზე, რომ ევროკავშირის

ლურჯი ბარათის მფლობელს მუდმივი ბინადრობის უფლების მიღების გონივრული პერსპექტივა და შესაბამის ტერიტორიაზე ცხოვრების მინიმალური ვადა ჰქონდეს.

3. 2003/86/EC დირექტივის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის ბოლო აბზაცისა და მე-7 მუხლის მე-2 პუნქტიდან გადახვევის სახით, მასში გათვალისწინებული ინტეგრაციის პირობებისა და ზომების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესაბამის პირებს ოჯახის გაერთიანების უფლება მიეცემა.

4. 2003/86/EC დირექტივის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის 1-ელი აბზაციდან გადახვევის გზით, თუ ოჯახის გაერთიანებისთვის ყველა პირობა დაკმაყოფილებულია, ოჯახის წევრებისათვის ბინადრობის ნებართვა განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში გაიცემა.

5. 2003/86/EC დირექტივის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გადახვევის სახით, ოჯახის წევრთა ბინადრობის ნებართვის ვადა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელისთვის გაცემული ბინადრობის ნებართვის ვადის იდენტურია, რამდენადაც ამის საშუალებას მათი სამგზავრო დოკუმენტების მოქმედების ვადა იძლევა.

6. 2003/86/EC დირექტივის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის მეორე წინადადებიდან გადახვევის სახით, წევრი სახელმწიფოები შრომის ბაზარზე დაშვებასთან დაკავშირებით არანაირ ვადებს არ იყენებენ.

ეს პუნქტი 2011 წლის 19 დეკემბრიდან მოქმედებს.

7. 2003/86/EC დირექტივის მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტიდან გადახვევის სახით, ავტონომიური ბინადრობის ნებართვის მისაღებად ბინადრობის 5-წლიანი ვადის გამოთვლის მიზნით, შესაძლებელია სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში ცხოვრების პერიოდების შეკრება.

8. თუ წევრი სახელმწიფოები მე-7 პუნქტში აღნიშნულ შესაძლებლობას იყენებენ, წინამდებარე დირექტივის მე-16 მუხლში ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის მიერ სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში ცხოვრების პერიოდის შეკრებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დებულებები შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით გამოიყენება.

#### *მუხლი 16*

#### **ევროგაერთიანების გრძელვადიანი რეზიდენტის სტატუსი ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელებისათვის**

1. ამ მუხლში გათვალისწინებულ გარკვეულ გადახვევებთან დაკავშირებით მოქმედებს 2003/109/EC დირექტივა.

2. 2003/109/EC დირექტივის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტიდან გადახვევის სახით, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს, რომელმაც ამ დირექტივის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობით ისარგებლა, ცხოვრების ხანგრძლივობასთან

დაკავშირებით მოთხოვნის შესრულების მიზნით სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში მისი ცხოვრების პერიოდების შეკრების ნებართვა შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ეძლევა:

(ა) ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის სტატუსით 5 წლის განმავლობაში ევროგაერთიანების ტერიტორიაზე კანონიერად და უწყვეტად ცხოვრება; და

(ბ) შესაბამისი განცხადების უშუალოდ წარდგენამდე, 2 წლის განმავლობაში კანონიერად და უწყვეტად ცხოვრება ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის სტატუსით იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც გრძელვადიანი ბინადრობის განცხადება არის შეტანილი.

3. ევროგაერთიანების ტერიტორიაზე კანონიერად და უწყვეტად ცხოვრების პერიოდის გამოთვლის მიზნით და 2003/109/EC დირექტივის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი აზნაციდან გადახვევის სახით, ევროგაერთიანების ტერიტორიაზე არყოფნის პერიოდი ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ ვადაზე გავლენას არ მოახდენს და მისი შეწყვეტა არ მოხდება, თუ ამ არყოფნის პერიოდი მიყოლებით 12 თვეზე მეტხანს არ გრძელდება და, საერთო ჯამში, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული პერიოდის განმავლობაში, 18 თვეს არ აღემატება. ეს პუნქტი ასევე ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს მე-18 მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობა გამოყენებული არ აქვს.

4. 2003/109/EC დირექტივის მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან გადახვევის გზით, წევრი სახელმწიფოები ევროგაერთიანების ტერიტორიაზე არყოფნის ვადას მიყოლებით 24 თვემდე ახანგრძლივებენ, რაც ნებადართული იქნება ევროგაერთიანების გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მქონე გრძელვადიანი რეზიდენტისათვის, წინამდებარე დირექტივის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შესაბამისი შენიშვნით და მისი ოჯახის წევრებისთვის, რომელთაც მინიჭებული აქვთ გრძელვადიანი რეზიდენტის სტატუსი.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტში ჩამოყალიბებული გადახვევები 2003/109/EC დირექტივიდან შეიძლება შემოიფარგლოს ისეთი შემთხვევებით, როცა მესამე ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია წარადგინოს მტკიცებულება, რომ ევროგაერთიანების ტერიტორიაზე მისი არყოფნა განპირობებული იყო იმით, რომ იგი ახორციელებდა ეკონომიკურ საქმიანობას როგორც დაქირავებული ან დამოუკიდებელი მუშაკი, მუშაობდა მოხალისედ ან სწავლობდა თავის წარმოშობის ქვეყანაში.

6. მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და მე-15 მუხლი ძალაში რჩება გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მქონე პირთათვის, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული შესაბამისი შენიშვნით, საჭიროებისამებრ, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი გრძელვადიანი რეზიდენტი გახდება.

## მუხლი 17

### გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვა

1. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელებისათვის, რომლებიც გრძელვადიანი მობინადრის სტატუსის მისაღებად წინამდებარე დირექტივის მე-16 მუხლით დადგენილ პირობებს აკმაყოფილებენ, ბინადრობის ნებართვა (EC) #1030/2002 რეგულაციის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაიცემა.
2. ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნულ ბინადრობის ნებართვაში „შენიშვნები“ სათაურის ქვეშ, წევრი სახელმწიფოები მიუთითებენ: „ევროკავშირის ლურჯი ბარათის ყოფილი მფლობელი“.

## თავი V

### ბინადრობა სხვა წევრ სახელმწიფოებში

#### მუხლი 18

#### პირობები

1. პირველ წევრ სახელმწიფოში ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის სტატუსით კანონიერად ცხოვრების 18 თვის გასვლის შემდეგ, შესაბამის პირსა და მისი ოჯახის წევრებს ამ მუხლში ჩამოყალიბებული პირობების თანახმად, მაღალკვალიფიციური სამუშაოს განხორციელების მიზნით სხვა სახელმწიფოში გადასვლა შეუძლიათ.
2. მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის შემდეგ რაც შეიძლება მალე და არაუგვიანეს ერთი თვისა, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი და/ან მისი დამქირავებელი ევროკავშირის ლურჯი ბარათის მოთხოვნასთან დაკავშირებული განცხადებით ამ წევრი სახელმწიფოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს მიმართავენ და წარუდგენენ ყველა დოკუმენტს, რომელიც მეორე წევრი სახელმწიფოს მიმართ მე-5 მუხლში ჩამოყალიბებული პირობების შესრულებას ადასტურებს. მეორე წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება, არ მისცეს განმცხადებელს მუშაობის ნებართვა მანამ, სანამ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ განცხადებაზე დადებითი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.
3. მეორე წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსთვის განცხადებით მიმართვა ასევე შესაძლებელია მაშინაც, როცა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი ჯერ კიდევ პირველი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს.
4. მე-11 მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურების თანახმად, მეორე წევრი სახელმწიფო განცხადებას განიხილავს და განმცხადებელსა და პირველ წევრ სახელმწიფოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით აცნობებს, რომ:
  - (ა) გასცემს ევროკავშირის ლურჯ ბარათს და განმცხადებელს აძლევს მის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას მაღალკვალიფიციური სამუშაოს განხორციელების მიზნით, ამ მუხლში



ჩამოყალიბებული პირობების შესრულების შემთხვევაში და მე-7-მე-14 მუხლებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; ან

(ბ) უარს ამბობს ევროკავშირის ლურჯი ბარათის გაცემაზე და აიძულებს განმცხადებელსა და მის ოჯახის წევრებს, ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, ქვეყნიდან გაყვანის პროცედურების ჩათვლით, დატოვონ მისი ტერიტორია, როცა ამ მუხლში ჩამოყალიბებული პირობები არ სრულდება. პირველი წევრი სახელმწიფო ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელისა და მისი ოჯახის წევრების რეადმისიას დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე უზრუნველყოფს. ეს წესი ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ განცხადების განხილვის პროცესში პირველი წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ ევროკავშირის ლურჯ ბარათს გაუვიდა ვადა ან მოხდა მისი გაუქმება. მე-13 მუხლი გამოიყენება რეადმისიის შემდგომ.

5. თუ შესაბამისი პროცედურის დროს, პირველი წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ ევროკავშირის ლურჯ ბარათს გაუვა მოქმედების ვადა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თუ ამას ეროვნული კანონმდებლობა მოითხოვს, გასცენ დროებითი ეროვნული ბინადრობის ნებართვები ან თანაბარი ძალის მქონე ნებართვები, რომელთა მეშვეობით განმცხადებელს უფლება აქვს, შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრება განაგრძოს, სანამ კომპეტენტური ორგანოები მის განცხადებაზე გადაწყვეტილებას მიიღებენ.

6. განმცხადებელს და/ან მის დამქირავებელს შესაძლოა, დაეკისროთ პასუხისმგებლობა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელისა და მისი ოჯახის წევრების დაბრუნებასა და რეადმისიასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებაზე, საჭიროების შემთხვევაში, მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო სახსრებით გაწეული ხარჯების ჩათვლით.

7. ამ მუხლის გამოყენებისას, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, განაგრძონ მე-6 მუხლში აღნიშნული ქვეყანაში დაშვების მოცულობების დადგენა.

8. იმ მომენტიდან, როცა ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი და, შესაბამის შემთხვევაში, მისი ოჯახის წევრები, ამ თავის პირობების თანახმად, სხვა წევრ სახელმწიფოში გადასვლის შესაძლებლობას ხელმეორედ გამოიყენებენ, „პირველ წევრი სახელმწიფოში“ იგულისხმება ის წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც ეს პიროვნება ტოვებს, „მეორე წევრ სახელმწიფოში“ კი - ის წევრი სახელმწიფოები, რომელშიც ეს პიროვნება ცხოვრების უფლებას ითხოვს.

### *მუხლი 19*

#### **ოჯახის წევრების ბინადრობა მეორე წევრ სახელმწიფოში**

1. როდესაც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი გადადის მეორე წევრ სახელმწიფოში მე-18 მუხლის თანახმად და როდესაც მისი ოჯახი უკვე ჩამოყალიბებულია პირველ წევრ სახელმწიფოში, მის ოჯახის წევრებს უფლება აქვთ, თან გაჰყვნენ ან შეუერთდნენ მას.

2. მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, ოჯახის

წევრები ან ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ამ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს ოჯახის წევრისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე განცხადებით მიმართავენ.

იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი პროცედურის დროს, პირველი წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემულ ოჯახის წევრთა ბინადრობის ნებართვას ვადა გასდის ან ამ ნებართვით მის მფლობელს მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად ცხოვრების უფლება აღარ აქვს, წევრი სახელმწიფოები პიროვნებას მათ ტერიტორიაზე დარჩენის ნებას რთავენ, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული დროებითი ბინადრობის ნებართვის ან თანაბარი ძალის მქონე ნებართვის გაცემის გზით, რაც განმცხადებელს უფლებას აძლევს, მათ ტერიტორიაზე ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელთან ერთად კანონიერად ცხოვრება განაგრძოს, სანამ მეორე წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ განცხადებაზე გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

3. მეორე წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ოჯახის წევრებს ბინადრობის ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადებასთან ერთად შემდეგი დოკუმენტების წარდგენა მოსთხოვოს:

(ა) მათი ბინადრობის ნებართვა პირველ წევრ სახელმწიფოში და მოქმედი სამგზავრო დოკუმენტი ან მათი დამოწმებული ასლები და, საჭიროების შემთხვევაში, ვიზა;

(ბ) დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ ისინი პირველ წევრ სახელმწიფოში ცხოვრობდნენ, როგორც ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის ოჯახის წევრები;

(გ) ჯანმრთელობის დაზღვევის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც ფარავს ყველა რისკს მეორე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელის მიერ ოჯახის წევრებისათვის ასეთი დაზღვევის არსებობის დადასტურება.

4. მეორე წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელს მოსთხოვოს შემდეგი მტკიცებულებების წარდგენა, რომ:

(ა) გააჩნია საცხოვრებელი ბინა, რომელიც ითვლება იმ რეგიონში სტანდარტულ საცხოვრებლად სხვა ოჯახების მსგავსად და აკმაყოფილებს ამ წევრ სახელმწიფოში დადგენილ ჰიგიენურ და უსაფრთხოების ნორმებს;

(ბ) გააჩნია სტაბილური და რეგულარული სახსრები, რომლებიც საკმარისია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების რჩენისათვის, ისე, რომ ამ წევრი სახელმწიფოს სოციალური დახმარების სისტემისათვის დახმარების თხოვნით მიმართვა არ სჭირდებოდეს. წევრი სახელმწიფოები ამ სახსრებს მათი ხასიათისა და რეგულარობის თვალსაზრისით აფასებენ და შეუძლიათ სახელმწიფო ხელფასებისა და პენსიის მინიმალური დონისა და, აგრეთვე, ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინება.

(5) მე-15 მუხლში წარმოდგენილი გამონაკლისების გამოყენება, შესაბამისი ცვლილებების.

გათვალისწინებით, კვლავ ძალაშია.

(6) თუ პირველ წევრ სახელმწიფოში მანამდე არ მომხდარა ოჯახის ჩამოყალიბება, გამოიყენება მე-15 მუხლი.

**თავი VI**  
**დასკვნითი დებულებები**  
*მუხლი 20*  
**განხორციელების ზომები**

1. წევრი სახელმწიფოები მე-6 მუხლის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტსა და მე-18 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით საკანონმდებლო ან მარეგულირებელი ზომების მიღების თაობაზე ევროკომისიასა და სხვა წევრ სახელმწიფოებს აცნობებენ.

ის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე მოქმედებენ, ევროკომისიასა და სხვა წევრ სახელმწიფოებს სათანადოდ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას უგზავნიან, შესაბამისი ქვეყნებისა და სექტორების მითითებით.

2. ყოველ წელს და, პირველად არაუგვიანეს 2013 წლის 19 ივნისისა, წევრი სახელმწიფოები, (EC) No 862/2007 რეგულაციის შესაბამისად, ევროკომისიას უგზავნიან სტატისტიკურ მონაცემებს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ, რომლებზეც ევროკავშირის ლურჯი ბარათი გაიცა და, შეძლებისდაგვარად, იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც ლურჯი ბარათის მოქმედების ვადა გაუგრძელდათ ან ჩამოერთვათ წინა კალენდარული წლის განმავლობაში, მათი მოქალაქეობისა და, შეძლებისამებრ, პროფესიული საქმიანობის მითითებით. ამავე სახით ხდება სტატისტიკური მონაცემების მიწოდება ქვეყანაში დაშვებული ოჯახის წევრების შესახებ, მათი საქმიანობის დაკონკრეტების გარეშე. ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელებსა და მათი ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, რომელთაც ქვეყანაში შესვლის ნებართვა მე-18, მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად მიეცათ, წარდგენილ ინფორმაციაში, შეძლებისამებრ, დამატებით მიეთითება ის წევრი სახელმწიფო, რომელშიც ისინი ადრე ცხოვრობდნენ.

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და საჭიროებისამებრ, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის განხორციელების მიზნით, მითითება ხდება ევროკომისიის (ევროსტატის) მონაცემებსა და, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნულ მონაცემებზე.

*მუხლი 21*  
**ანგარიშები**

3 წელიწადში ერთხელ და, პირველად არაუგვიანეს 2014 წლის 19 ივნისისა, ევროკომისია ევროპის პარლამენტსა და საბჭოს წევრ სახელმწიფოებში წინამდებარე დირექტივის გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-5 მუხლისა და მე-18 მუხლის გავლენის შეფასების შესახებ ანგარიშს წარუდგენს და, საჭიროების შემთხვევაში, შესწორებებს შესთავაზებს.

ევროკომისია განსაკუთრებით შეაფასებს მე-5 მუხლში განსაზღვრული სახელფასო ზღვარის შესაბამისობასა და ამავე მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისებს, მათ შორის, წევრ სახელმწიფოებში ეკონომიკური, სექტორული და გეოგრაფიული მდგომარეობის სახესხვაობის გათვალისწინებით.

### *მუხლი 22*

#### **საკონტაქტო პირები**

1. წევრი სახელმწიფოები ნიშნავენ საკონტაქტო პირებს, რომლებიც მე-16, მე-18 და მე-20 მუხლებში აღნიშნული ინფორმაციის მიღებასა და გადაცემაზე არიან პასუხისმგებელნი.
2. პირველ პუნქტში აღიშნული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცვლასთან დაკავშირებით, წევრი სახელმწიფოები შესაბამის თანამშრომლობას ახორციელებენ.

### *მუხლი 23*

#### **ტრანსპოზიცია**

1. 2011 წლის 19 ივნისამდე, წევრი სახელმწიფოები აამოქმედებენ იმ კანონებსა და ნორმატიულ და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობაში მოსაყვანად არის საჭირო. ამის შესახებ ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ კომისიას.

წევრი სახელმწიფოების მიერ ასეთი დებულებების მიღებისას, მათში კეთდება მითითება წინამდებარე დირექტივაზე ან, მათი ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში, ასეთი მითითება თანდართულია. წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, თუ როგორ გაკეთდეს ეს მითითება.

2. წევრი სახელმწიფოები ევროკომისიას უგზავნიან ეროვნული კანონის ძირითადი დებულებების ტექსტს, რომელთა მიღებაც ხდება იმ სფეროში, რომელსაც წინამდებარე დირექტივა მოიცავს.

### *მუხლი 24*

#### **ძალაში შესვლა**

წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნების მეორე დღიდან.

### *მუხლი 25*

## ადრესატები

წინამდებარე დირექტივის ადრესატები არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თანახმად.

შესრულებულია ბრიუსელში, 2009 წლის 25 მაისს.

საბჭოს სახელით

პრეზიდენტი ჯ.სებესტა

---

<sup>(1)</sup> 2008 წლის 20 ნოემბრის მოსაზრება (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა).

<sup>(2)</sup> 2009 წლის 9 ივლისის მოსაზრება (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა).

<sup>(3)</sup> 2008 წლის 18 ივნისის მოსაზრება (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა).

<sup>(4)</sup> [OJ L 375, 23.12.2004, გვ. 12.](#)

<sup>(5)</sup> [OJ L 289, 3.11.2005, გვ. 15.](#)

<sup>(6)</sup> [OJ L 157, 15.6.2002, გვ. 1.](#)

<sup>(7)</sup> [OJ L 105, 13.4.2006, გვ. 1.](#)

<sup>(8)</sup> [OJ L 149, 5.7.1971, გვ. 2.](#)

<sup>(9)</sup> [OJ L 124, 20.5.2003, გვ. 1.](#)

<sup>(10)</sup> [OJ L 255, 30.9.2005, გვ. 22.](#)

<sup>(11)</sup> [OJ L 16, 23.1.2004, გვ. 44.](#)

<sup>(12)</sup> [OJ L 251, 3.10.2003, გვ. 12.](#)

<sup>(13)</sup> [OJ L 199, 31.7.2007, გვ. 23.](#)

<sup>(14)</sup> [OJ C 321, 31.12.2003, გვ. 1.](#)

<sup>(15)</sup> [OJ L 304, 30.9.2004, გვ. 12.](#)

<sup>(16)</sup> [OJ L 158, 30.4.2004, გვ. 77,](#) შემდეგი შესწორებით: [OJ L 229, 29.6.2004, გვ. 35.](#)

<sup>(17)</sup> [OJ L 18, 21.1.1997, გვ. 1.](#)

---